ხელშეკრულება #შს/22-077
მომსახურების შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **18.03.2022 წელი**

ერთის მხრივ, **სს „საქართველოს რკინიგზა"** (ს/კ 202886010), წარმოდგენილი მისი ფილიალ მგზავრთა გადაყვანის დირექტორის მოადგილის მიმდინარე ხარისხიან მომსახურებაზე (სერვისის დარგში) გიორგი გომარელის (31.12.2021 წლის #6080 მინდობილობა) სახით, მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი #15 (შემდგომში „შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ, **შპს „Cleaning Service Group"** (ს/კ 401964718), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბესარიონ კობიძის სახით, მისამართი: ქ.თბილისი, დიდუბის რაიონი, აკ. წერეთლის გამზ., №115ა (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე -10[1] მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის, სს „საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭოს 04.03.2022 წლის #1/9 დადგენილებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

"ჩვენ, აღნიშნულ დოკუმენტზე ვიზირების განმახორციელებელი და ხელშეკრულების ხელმოწერაზე უფლებამოსილიპირები ვადასტურებთ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით შესყიდვის განხორციელებასთა ნდაკავშირებული ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველო ს კანონის მე8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაშიმონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები თ მიმწოდებელთან"

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სს „საქართველოს რკინიგზის" სახსრებით, სამგზავრო ვაგონების შიდა ფართების რეცხვა-დასუფთავების, დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციის და ფუმიგაციის მომსახურების შესყიდვა (CPV კოდი - 90900000, 90917000, 90921000, 90923000, 90924000), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2 SMP მოდულში რეგისტრაციის ნომერი **SMP220000738.**

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს სამგზავრო ვაგონების შიდა ფართების რეცხვა-დასუფთავების, დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციის და ფუმიგაციის მომსახურება დანართი #1 - ფასების ცხრილის, დანართი #2 ტექნიკური დავალების და სხვა თანდართული დანართების შესაბამისად - (შემდგომში „მომსახურება").

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 1339 სამგზავრო ვაგონების შიდა ფართების რეცხვა-დასუფთავება, 122 ცალი სამგზავრო ვაგონის დეზინსექცია, 122 ცალი სამგზავრო ვაგონის დერატიზაცია, 122 ცალი სამგზავრო ვაგონის ფუმიგაცია, 3688 ვაგონების დეზინფექცია.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შემსყიდველისათვის გასაწევი მომსახურების დასახელება და ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენს **39 693,50** (ოცდაცხრამეტი ათას ექვსას ოთხმოცდაცამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს, ხოლო დღგ-ს ჩათვლით **46 838,33** (ორმოცდაექვსი ათას რვაას ოცდათვრამეტი ლარი და ოცდაცამეტი თეთრი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას მასზედ, რომ მის მიერ მომსახურება განხორციელდება წარმოდგენილი ფასების ცხრილის საფუძველზე, ჯეროვნად, დროულად, შეუფერხებლად, კეთილსინდისიერად, სრულფასოვნად და განხორციელებული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მას გააჩნია ყველა ის საშუალება, რომელიც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად.

4.3. განხორციელებულ მომსახურებაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს წარუდგინოს პრეტენზია. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყოს მუშაობა გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრისათვის საჭირო ზომების განსახორციელებლად, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე და გონივრულ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი.

4.4. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4.5. მომსახურების არაჯეროვანი განხორციელების შედეგად მიყენებულ ზიანს საკუთარი ხარჯებით ანაზღაურებს მიმწოდებელი.

5. მომსახურების განხორციელების პირობები და ვადები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს 2022 წლის 20 მარტიდან 30 უწყვეტი კალენდარული დღის განმავლობაში, ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, განახორციელოს სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული სამგზავრო ვაგონების შიდა ფართების რეცხვა-დასუფთავება, დეზინფექციია, დეზინსექციია, დერატიზაცია და ფუმიგაცია.

5.2 მომსახურების გაწევისას მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა. მაკონტროლებელ სამსახურებთან ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვაზე წარმოქმნილ დარღვევებზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მიმწოდებელს;

5.3 მომსახურების გაწევისას გამოყენებული ელექტროენერგიისა და წყლის ხარჯებს მომსახურების გაწევისას „შემსყიდველი“ უზრუნველყოფს „მიმწოდებელს“მომსახურების გაწევისთვის საჭირო მოცულობის წყლითა და ელ. ენერგიით, რომლის ღირებულებაც არ არის შეტანილი მომსახურების ფასში (ხარჯთაღრიცხვაში).

5.4 მატარებლების მოძრაობის განრიგი მოცემულია დანართი N3-ით, რომელიც საორიენტაციოა და რომლის ცვლილების შემთხვევაში შემსყიდველის იღებს ვალდებულებას წერილობით (დასაშვებია ელექტრონული ფოსტით) აცნობოს მიმწოდებელს განრიგის ცვლილების თაობაზე.

5.5 მიმწოდებელი ვალდებულია მატარებლების დალაგება-დასუფთავება უზრუნველყოს დანართი N3-ში მითითებულ მობრუნების და დისლოკაციის ადგილებში მატარებლების დგომის დროის პერიოდში, ამასთან სეზონის პერიოდში, გამონაკლის შემთხვევაში, მიმწოდებელს უნდა ჰქონდეს იმის რესურსი რომ მაქსიმუმ 1,5 საათის განმავლობაში უზრუნველყოს მატარებლების დალაგება-დასუფთავება;

5.6 მიმწოდებელი ვალდებულია ვაგონების გენერალური დასუფთავება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში - ერთჯერ, ქ.თბილისში, ზესტაფონის ქუჩა N 22ა (თბილისის სალოკომოტივო დეპო); ასევე მიმწოდებელი ვალდებულია მატარებლის ფორმირების პუნქტებში წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში - ერთჯერ, მოახდინოს დასუფთავების მომსახურების ჩატარება სპეციალური საშუალებებით, რომლებიც დააკმაყოფილებენ შემდეგ ტექნიკურ მახასიათებლებს, კერძოდ:

ა) უზრუნველყოს ლაქების ქიმიური წმენდვა/დამუშავება სპეციალური ხსნარ(ებ)ით, რომელიც განკუთვნილია ყველანაირი ტექსტილის, ელასტიური და მყარი იატაკის ზედაპირებისთვის. ხსნარ(ებ)ს უნდა შეეძლოს ზეთოვანი, ცხიმოვანი, სხვადასხვა მინერალური ლაქების ამოყვანა. ხსნარის pH -ის დონე კონცენტრატში უნდა იყოს არანაკლებ 6.0 და არა უმეტეს 8.8.

ბ) მიმწოდებელი ლაქების ამოყვანის შემდეგ ვალდებულია მოახდინოს ტექსტილის იატაკის ზედაპირების სპეციალური ხსნარით დამუშავება, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიან და ეფექტურ დაცვას მშრალი და სველი ჭუჭყისგან. ხსნარი არ უნდა ახდენდეს ბოჭკოების შეწებებას და უნდა იყოს ფოსფატებისგან თავისუფალი; ხსნარის pH-ის დონე კონცენტრატში უნდა იყოს არანაკლებ 5.0 და არა

უმეტეს7.5.
გ) მომსახურების დასრულებისას მოახდინოს ალკოჰოლ-რეზისტენტული ზედაპირების დეზინფექცირება სპეციალური სადეზინფექციო საშუალებ(ებ)ით, რომელიც ეფექტურია სხვადასხვა სახის ვირუსების წინააღმდეგ, ხსნარ(ებ)ი უნდა იყოს სწრაფ შრობადი, უსუნო და არ უნდა შეიცავდეს ალდეჰიდების და საღებავებს. ხსნარ(ებ)ის pH-ის დონე კონცენტრატში უნდა იყოს არანაკლებ 5.0 და არაუმეტეს 7.5.
5.7 მიმწოდებელი ვალდებულია დანართი N4-ით განსაზღვრული მისამართების, აპარატურისა და რაოდენობის შესაბამისად განახორციელოს მომსახურება;
5.8 მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამგზავრო ვაგონების შიდა ფართების რეცხვა-დასუფთავების მომსახურების შეფასება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ყოველდღიურად დანართი N5-ით მოცემული გაწეული მომსახურების შეფასების ბლანკის მეშვეობით, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ დაეთანხმება შემსყიდველის შეფასებას და არ დაადასტურებს ხელმოწერით გაწეული მომსახურების შეფასების ბლანკს შემსყიდველი აღნიშნულ ბლანკს მიიჩნევს ცალმხრივად გაფორმებულად. აღნიშნულ შეფასებაზე დაყრდნობით შემსყიდველის მიერ ყოველთვიურად მოხდება მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხის კალკულაცია დანართი N6-ში მოცემული მაგალითის შესაბამისად.
5.9 სამგზავრო ვაგონების დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციის და ფუმიგაციის მომსახურების გაწევის დროს მიმწოდებელი ვალდებულია:
- აწარმოოს სამგზავრო ვაგონების სანიტარულ პროფილაქტიკური მომსახურება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 19 მარტის N64/ნ ბრძანებისა და საქართველოში მოქმედი სხვა ნორმატივ(ებ)ის შესაბამისად;
- სამგზავრო ვაგონებში მუდმივად შეინარჩუნოს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა;
- სანირატულ-პროფილაქტიკური მომსახურების განხორციელებისას გამოიყენოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 19 მარტის N64/ნ ბრძანებით ნებადართული მაქსიმალურად მცირე ექსპოზიციის დროის მქონე პრეპარატები;
5.10 მიმწოდებელი ვალდებულია სამგზავრო ვაგონების სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება უზრუნველყოს ყოველდღიურად დასუფთავების შემდეგ დღეში ერთხელ, რეისში გასვლამდე ფორმირების პუნქტებში (ქ.თბილისი, ზესტაფონის ქუჩა N22ა და მახალდიანის ქუჩა N1, ქ.ქუთაისი, ხაბეიშვილის II შესახვევი N4) და მატარებლების მობრუნების პუნქტებში (ქ.ბათუმი, ქ.ფოთი, ქ.ზუგდიდი, ქ.ოზურგეთი). ანტიალერგიული ხსნარებით უნდა დამუშავდეს სავარძლები, იატაკი, კედლები, საპირფარეშოები, კიბის უჯრედები, სახელურები და ვაგონიდან ვაგონში გადასასვლელი ადგილები. მიმწოდებელმა დეზინფექცია უნდა განახორციელოს მექანიკური ან ელექტრო ჰიდროპულტით, სასიამოვნო სურნელის პრეპატარების გამოყენებით;
5.11 მიმწოდებელი ვალდებულია სამგზავრო ვაგონების დეზინსექცია ჩაატაროს არსებული ნორმატივების შესაბამისად (თვეში ერთხელ), უსუნო პრეპარატით, რომელიც არ ტოვებს ლაქებს, უნდა გააჩნდეს ხანგრძლივი ეფექტი და შეესაბამებოდეს უსაფრთხოების მესამე ან მეოთხე კლასს;
5.12 მიმწოდებელი ვალდებულია დერატიზაცია განახორციელოს ქარხნული წესით დამზადებული ბრიკეტების ან გრანულების საშუალებით, თვეში ერთხელ;
5.13. მიმწოდებელი ვალდებულია ფუმიგაცია (ხალიჩების, საწოლების და სავარძლების) ჩაატაროს თვეში ერთხელ ცივი ნისლის აეროზოლური გაფრქვევების მეთოდით;
5.14 5.10-5.13 პუნქტებით გათვალისწინებულ მომსახურებაზე მიმწოდებელი ვალდებულია თვის ბოლო დღეს შემსყიდველს წარუდგინოს თითოეულ ობიექტზე (პუნქტი 5.10) განხორციელებული მომსახურების გაწევის აქტი (შესრულებული სამუშაოს აქტი) , რომელიც დადასტურებული იქნება მხარეთა მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენელების ხელმოწერებით. შემსყიდველის მხრიდან აქტს ქ. თბილისში ხელს მოაწერენ მოძრავი შემადგენლობის წმენდა-დასუფთავების სამსახურის კოორდინატორები, ქ. ქუთაისში - წმენდა-დასუფთავების ბრიგადის ბრიგადირი.
5.15 შემსყიდველი ვალდებულია ფორმირების პუნქტებში (ქ.თბილისი, ზესტაფონის ქუჩა N22ა და მახალდიანის ქუჩა N1, ქ.ქუთაისი, ხაბეიშვილის II შესახვევი N4) და მატარებლების მობრუნების პუნქტებით განსაზღვრულ ადგილებზე (ქ.ბათუმი, ქ.ფოთი, ქ.ზუგდიდი, ქ.ოზურგეთი) მიაწოდოს მიმწოდებელს მომსახურება გასაწევი ვაგონები რეისში გასვლამდე 2.5 საათით ადრე, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მომსახურება უნდა დასრულდეს რეისში გასვლამდე 1 საათით ადრე. რეისში არწამსვლელ ვაგონებზე მომსახურება უნდა განხორციელდეს დღის ნებისმიერ მონაკვეთში;

5.16 მატარებლის ფორმირების პუნქტებია:

-ქ.თბილისი, ზესტაფონის ქუჩა N22ა;

-ქ.თბილისი, მახალდიანის ქუჩა N1,

- ქ.ქუთაისი, ხაბეიშვილის II შესახვევი N4;

მატარებლების მობრუნების პუნქტებია:

ქ.ბათუმი, ქ.ფოთი, ქ.ზუგდიდი, ქ.ოზურგეთი.

5.17. მიმწოდებლის მხრიდან ვადის დარღვევის შემთხვევაში არ აუნაზღაურდება განხორციელებული მომსახურების (ერთეული ვაგონის) ღირებულება და დაერიცხება პირგასამტეხლო.

5.18 მიმწოდებლის მიერ სამგზავრო ვაგონების შიდა ფართების რეცხვა-დასუფთავების მომსახურება ჯეროვნად შესრულებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება შეფასებულ იქნება შემდეგი ხარისხის მაჩვენებლით: „დადებითი“ –„1“-ით, ხოლო უარყოფითი - „0“-ით, აღნიშნულ შემთხვევაში მიმწოდებელს არ აუნაზრაურდება არაჯეროვნად განხორციელებული მომსახურების (რომელთა ჩამონათვალი შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლით გაწერილია დანართი #2-ით) ღირებულება და დაერიცხება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 11.1 პუნქტის შესაბამისად.

5.19 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს ყველა თანმდევი მომსახურება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), რომელიც დაკავშირებულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან.

5.20 მომსახურების მიმღებია: სს ,,საქართველოს რკინიგზა”.

5.21. ხელშეკრულების ადმინისტრატორად განისაზღვრა: მირიან გველესიანი, ტელ: 591191202.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება შემსყიდველის მიერ მიღებულად, ხოლო მიმწოდებლის მიერ განხორციელებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შედეგად, რომლებიც ფორმდება ერთი მხრივ, ვაგონების შიდა ფართების რეცხვა-დასუფთავების ნაწილში ხელშეკრულების 5.8 , 5.18 პუნქტებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლის შეფასების სისტემის შესაბამისად, ხოლო სამგზავრო ვაგონების დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და ფუმიგაციის ნაწილში - ხელშეკრულების 5.14. პუნქტის შესაბამისად შემდგარი მომსახურების გაწევის აქტებისა (შესრულებული სამუშაოს აქტები) საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტები შედგება და დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით თვის ბოლო დღეს, ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად.

6.1.1 შემსყიდველის მხრიდან განხორციელებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს განეკუთვნებიან: **ჯგუფის უფროსი:**

- ფილიალ „მგზავრთა გადაყვანის“ მოძრავი შემადგენლობის წმენდა-დასუფთავების სამსახურის უფროსი.

წევრები:

- ფილიალ „მგზავრთა გადაყვანის“ მოძრავი შემადგენლობის წმენდა-დასუფთავების სამსახურის კოორდინატორი;
- ფილიალ „მგზავრთა გადაყვანის“ მგზავრთა მომსახურების დეპარტამენტის მაგისტრალური მიმოსვლის სამსახურის უფროსი.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ოთხ ეგზემპლიარად, რომლის სამი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი – მიმწოდებელს.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისას მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს 5.8 პუნქტით გათვალისწინებულ მომსახურების შეფასების ბლანკს, ხოლო 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას.

7. ანგარიშსწორება

7.1.ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება, ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების მიხედვით.

7.2.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.

7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

- 5.8 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შეფასების ბლანკი;
- 5.14 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის აქტი (შესრულებული სამუშაოების აქტი)
- მიღება-ჩაბარების აქტი (დედანი);
- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

7.4. შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში საბოლოო ანგარიშსწორებამდე მხარეები ადგენენ ურთიერთშედარების აქტს.

8. „შემსყიდველის“ უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს, მოსთხოვოს მიმწოდებელს მომსახურების შეუფერხებელი გაწევა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებელის ყველა და ნებისმიერი ვალდებულების შესრულება და შემსყიდველის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9. „მიმწოდებლის“ უფლება-მოვალეობანი

9.1. „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს „შემსყიდველის“ შეუფერხებელ მომსახურებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2022 წლის 20 მარტიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულების 5.18 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლოს დარიცხვა ხდება შემდეგნაირად: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების, ან/და არაჯეროვანი შესრულების (პუნქტი 5.18) შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო თითოეულზე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ცალკეული ობიექტის (რომელთა ჩამონათვალი შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლით გაწერილია დანართი #2-ით) მომსახურების ღირებულების ოდენობით, ამასთან, ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების (დეზინფექცია, დეზინსექცია, დერატიზაცია და ფუმიგაცია) შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0,1 %-ის ოდენობით. ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა შეწყდება მას შემდეგ, რაც დარიცხული თანხა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5 %-ს“.

11.2 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცილებისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 3 %, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ის ოდენობით.

11.4 ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს, შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) არაუმეტეს 5%-ს.

12. ფორს-მაჟორი

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

12.2 გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):
ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
გ) ეპიდემიები;
დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა, რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
12.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
12.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა) და წარუდგინოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა ფორს-მაჟორული გარემოების არსებობისა და ხანგრძლივობის მითითებით.
12.5. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
12.6. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით, რომელიც მიწოდებული იქნება მხარის მიერ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულ იქნა ,,შემსყიდველის“ პირველადი რეგისტრაციის დროს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი« ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2 ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
15.3 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალ-მემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, რწმუნებულებისა დ მუშაკებისთვის.

15.4 წინამდებარე ხელსეკრულება მოიცავს მხარეთა შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას და შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული და წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.
15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
15.6 თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვლება წინამდებარე ხელშეკრულების მე-16 მუხლში მითითებული რომელიმე რეკვიზიტი, მხარე მოვალეა დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.
15.7 მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების გაუქმებას.
15.8. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.
15.9. ,,შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ან უარი განაცხადოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ ,,მიმწოდებელი“ არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.
15.10. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.11. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
სს ,,საქართველოს რკინიგზა”
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი #15
ს/კ 202886010
სს ,,საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE09BG0000000128695301

„მიმწოდებელი“
შპს „Cleaning Service Group“
ქ. თბილისი,დიდუბის რაიონი, აკ. წერეთლის გამზ., №115ა
ს/კ 401964718
სს “თიბისი ბანკი”
ბანკის კოდი:TBCBGE22
ანგარიშის №GE24TB7811336020100002
ტელ: 577447572

_____
გიორგი გომარელი
ფილიალ მგზავრთა გადაყვანის დირექტორის
მოადგილე მიმდინარე ხარისხიან მომსახურებაზე
(სერვისის დარგში)

_____
ბესარიონ კობიძე
დირექტორი

საქართველოს
რკინიგზა
1872-დან

სს „საქართველოს რკინიგზის“
დირექტორთა საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№1/9 2022 წლის 4 მარტი ქ. თბილისი

სს „საქართველოს რკინიგზის“ სამგზავრო ვაგონების შიდა ფართების რეცხვა-დასუფთავების, დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციის და ფუმიგაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, გამარტივებული შესყიდვის გზით.

1. ცნობად იქნას მიღებული, სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „მგზავრთა გადაყვანა“-ს 2022 წლის 2 მარტის №9917 მოხსენებითი ბარათი.

2. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, სს „საქართველოს რკინიგზის“ სამგზავრო ვაგონების შიდა ფართების რეცხვა-დასუფთავების, დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციის და ფუმიგაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის გზით, შპს „Cleaning Service Group“-ისგან, 1 (ერთი) თვის ვადით.

3. დაევალოს სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „მგზავრთა გადაყვანა“-ს შესაბამისი შესყიდვის მოთხოვნის მომზადება და კორპორატიული მართვის დეპარტამენტის შესყიდვების სააგენტოში წარდგენა.

4. დაევალოს სს „საქართველოს რკინიგზის“ კორპორატიული მართვის დეპარტამენტის შესყიდვების სააგენტოს (რ.ლორთქოფანიძე) ფილიალ „მგზავრთა გადაყვანა“-ს მიერ წარდგენილი შესყიდვის მოთხოვნის საფუძველზე, განახორციელოს სამგზავრო ვაგონების შიდა ფართების რეცხვა-დასუფთავების, დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციის და ფუმიგაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის გზით, შპს „Cleaning Service Group“-ისგან, 1 (ერთი) თვის ვადით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

5. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „მგზავრთა გადაყვანა“-ს დირექტორის მოადგილემ მიმდინარე ხარისხიან მომსახურებაზე (სერვისის დარგში) (გ.გომარელი).

დირექტორთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ.ფერაძე**

სამგზავრო ვაგონების შიდა ფართების რეცხვა-დასუფთავების, დეზინფექციის,
დერატიზაციის და ფუმიგაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა

დანართი N1

გასაწევი მომსახურების დასახელება	რაოდენობა/გა ნზომილება არაუმეტეს (ცალი)	ერთეულის ღირებულება დღგ-ს გარეშე	საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე
1	**2**	**3**	**4**
სამგზავრო ვაგონების შიდა ფართების რეცხვადასუფთავება	1339		
სამგზავრო ვაგონის დეზინსექცია	122		
სამგზავრო ვაგონის დერატიზაცია	122		
სამგზავრო ვაგონის ფუმიგაცია	122		
ვაგონების დეზინფექცია	3688		

სს "საქართველოს რკინიგზა"

"სამგზავრო მოძრავი შემადგენლობის დასუფთავების შიდა სტანდარტი"

1. სამგზავრო მოძრავი შემადგენლობის შიდა ფართების სისუფთავის შესანარჩუნებლად საჭირო სამუშაოთა სახეები:

- "ყოველდღიური დასუფთავება" - სამუშაოები, რომლებიც ხორციელდება ყოველდღიურ რეჟიმში, მგზავრთა კომფორტისა და მომსახურების ხარისხის შესანარჩუნებლად. ასეთი სახის სამუშაოები მიმართულია, მოძრავ შემადგენლობაში სისუფთავისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისკენ. ყოველდღიური დასუფთავება მოიცავს, სამგზავრო მოძრავი შემადგენლობის შიდა მშრალი და სველი წესით დასუფთავებას და ახლად წარმოქმნილი ლაქების ადგილობრივად დამუშავებას.
- "გენერალური დასუფთავება" - სამუშაოები, რომლებიც ხორციელდება თვეში ერთხელ, მსვლელობაში მყოფი ვაგონების, სანიტარულ-ჰიგიენური უსაფრთხოების პირობების დასაცავად და მათი ინტერიერის სახის შესანარჩუნებლად.
- "არაგეგმიური დასუფთავება" - სამგზავრო მოძრავი შემადგენლობის არასტანდარტული დაბინძურებების შემთხვევაში ჩასატარებელი სამუშაოები.

1.1. სამუშაოები ხორციელდება შემდეგი პერიოდულობით:

- ყოველდღიურად სამგზავრო მოძრავი შემადგენლობის მიწერის დეპოში მისვლისას;
- ყოველდღიურად სამგზავრო მოძრავი შემადგენლობის მობრუნების პუნქტში მისვლისას.

1.2. დასუფთავებისათვის საჭირო სამუშაოების ჩამონათვალი

1.2.1 გენერალური დასუფთავების დროს, ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი.

1. სამგზავრო მოძრავი შემადგენლობის ასასვლელი კიბეების რეცხვა და დასუფთავება.
2. ტამბურში შესასვლელი ხელის მოსაკიდებლების გაწმენდა.
3. ტამბურის იატაკის, კედლებისა და ჭერის დასუფთავება.
4. ვაგონებს შორის გადასასვლელების გაწმენდა.
5. საბარგულების დასუფთავება.
6. სალონში შესასვლელი კარების გაწმენდა.
7. სამგზავრო მოძრავი შემადგენლობის სალონის იატაკის, კედლებისა და ჭერის დასუფთავება.
8. სამგზავრო მოძრავი შემადგენლობის რბილი და მყარი იატაკის, კედლებისა და ჭერის ზედაპირიდან ლაქების ამოყვანა ქიმიური რეცხვის აპარატებით.
9. სამგზავრო სავარძლებისა და მაგიდების დასუფთავება ქიმიური რეცხვის აპარატებით.
10. სამგზავრო სავარძლებისა და მაგიდების ზედაპირიდან ლაქების ამოყვანა.
11. სამგზავრო მოძრავი შემადგენლობის სანათების გაწმენდა.
12. სამგზავრო მოძრავი შემადგენლობის ფანჯრების გაწმენდა.
13. ფანჯრის ჩარჩოების გაწმენდა.
14. სათავსოების დალაგება.
15. საკვები და სასმელი აპარატების გაწმენდა
16. საპირფარეშოების ქიმიური საშუალებებით კაპიტალური დასუფთავება
17. სამგზავრო მოძრავი შემადგენლობის შიდა ხელის მოსაკიდებლების დასუფთავება.
18. სანაგვე ურნების დასუფთავება.
19. არასანქცირებული წარწერების მოშორება მოძრავი შემადგენლობის შიდა მხრიდან.
20. არასტანდარტული დაბინძურებების მოშორება (მათ შორის საღეჭი რეზინების მოცილება).
21. ნარჩნების გატანა და სანაგვე ურნებში ჩატვირთვა

1.2.2 რეისის დაწყებამდე შესასრულებელი, ყოველდღიური სამუშაოების სია.

1. სამგზავრო მოძრავი შემადგენლობის ასასვლელი კიბეების დასუფთავება.
2. ტამბურში შესასვლელი ხელის მოსაკიდებლების გაწმენდა.
3. ვაგონებს შორის გადასასვლელების გაწმენდა.
4. საბარგულების დასუფთავება.
5. სალონში შესასვლელი კარების გაწმენდა.
6. სამგზავრო მოძრავი შემადგენლობის სალონის იატაკის და კედლებისა დასუფთავება.
7. სამგზავრო სავარძლებისა და მაგიდების გაწმენდა.
8. სამგზავრო მოძრავი შემადგენლობის ფანჯრების გაწმენდა.
9. საპირფარეშოების სველი წესით დასუფთავება
10. საკვები და სასმელი აპარატების გაწმენდა
11. სანაგვე ურნების დასუფთავება ნარჩნების გატანა და სანაგვე ურნებში ჩატვირთვა.
12. არასტანდარტული დაბინძურებების მოშორება (მათ შორის საღეჭი რეზინების მოცილება).

2. შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი

2.1.1. შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი ტარდება, სამგზავრო მოძრავი შემადგენლობის სისუფთავის

მაღალი ხარისხის, შენარჩუნების მიზნით. ჩატარებულ სამუშაოთა ხარისხის კონტროლი, ხდება:

- გეგმიურად, წმენდა - სამატარებლო ბრიგადის მიერ, ყოველი რეისის დაწყებამდე.
- გენერალური დასუფთავების დროს - თბილისის სალოკომოტივო დეპოს უფლებამოსილი პირი(ებ)ს მიერ

2.1.2. ჩატარებულ სამუშაოთა ხარისხის შესაფასებლად, გამოიყენება სპეციალური (დანართი №1).

2.1.3. ბლანკის მოხმარების წესები:

2.1.4. შეფასების ბლანკში მოცემული კონტროლის საგნის, ხარისხის მაჩვენებელი, მაკონტროლირებელი პირის მიერ <u>დადებითი</u>ი შეფასების შემთხვევაში განისაზღვრება (1) ნიშნით, ხოლო <u>უარყოფითი</u> შეფასების შემთხვევაში (0) ნიშნით და იწერება ხარისხის მაჩვენებლის გრაფაში.

2.1.5. ხარისხის მაჩვენებლის გრაფას (1) ნიშანი ეწერება იმ შემთხვევაში, როდესაც გრაფაში მოცემული ყველა კომპონენტი ხარისხიანად დასუფთავებულია.

2.1.6. ერთი, ან რამდენიმე კომპონენტის დაბინძურების შემთხვევაში ხარისხის მაჩვენებლის გრაფაში იწერება (0) ნიშანი.

2.1.7. შენიშვნების გრაფაში უნდა იქნეს მითითებული იმ ვაგონ(ებ)ის ნომერი, სადაც შეინიშნებოდა დაბინძურება და დაბინძურებული კომპონენტ(ებ)ის დასახელება.

2.1.8. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ყოველდღიური დასუფთავების დროს დაბინძურების აღმოფხვრა ვერ ხერხდება ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, აღნიშნული პრობლემა მაკონტროლირებელი პირის მიერ უნდა ჩაიწეროს შენიშვნების გრაფაში.

2.1.9. ვაგონში დასასუფთავების ხარისხის შეფასება ხორციელდება შესრულებული სამუშაოების შეფასების ბლანკით შემდეგი ობიექტების მიხედვით და თითოეული ობიექტი შეფასებულია შემდეგი პროცენტული მაჩვენებლით.

- საპირფარეშო, სანაგვე ურნები, საბარგული: 20%
- სავარძლები, მაგიდები: 20%
- იატაკი: ა)ლინოლეუმის საფარი ბ)ხალიჩის საფარი გ)კიბეები: 20%
- კედლები, ჭერი, სანათები, ელ. ღუმელი: 20%
- ფანჯრები, კარებ(ებ)ი; საინფორმაციო ტაბლო; სასმელი და საკვები აპარატები 10%
- ვაგონებს შორის გადასასვლელი ტრაპი, სუფლე; 10%

2.1.10. გადასახდელი თანხის და ჯარიმის გაანგარიშება განხორციელდება თვის განმავლობაში მიწოდებული ვაგონების და ვაგონში ფაქტიურად დადებითად შეფასებული ობიექტების პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით შემდეგნაირად:

- საპირფარეშო, სანაგვე ურნები, საბარგული: ჯარიმა (10-30%-მდე 1000 ლარი; 30-70%-მდე 1500ლარი; 70% და ზევით არ ანაზღაურდება)
- სავარძლები, მაგიდები: (10-30%-მდე 1000 ლარი; 30-70%-მდე 1500ლარი; 70% და ზევით არ ანაზღაურდება)
- იატაკი: ა)ლინოლეუმის საფარი ბ)ხალიჩის საფარი გ)კიბეები:(10-30%-მდე 1000 ლარი; 30-70%-მდე 1500ლარი; 70% და ზევით არ ანაზღაურდება)
- კედლები, ჭერი, სანათები, ელ. ღუმელი: (10-30%-მდე 1000 ლარი; 30-70%-მდე 1500ლარი; 70% და ზევით არ ანაზღაურდება)
- ფანჯრები, კარებ(ებ)ი; საინფორმაციო ტაბლო; სასმელი და საკვები აპარატები (10-30%-მდე 1000 ლარი; 30-70%-მდე 1500ლარი; 70% და ზევით არ ანაზღაურდება)
- ვაგონებს შორის გადასასვლელი ტრაპი, სუფლე; (10-30%-მდე 1000 ლარი; 30-70%-მდე 1500ლარი; 70% და ზევით არ ანაზღაურდება)

მატარებლების მოძრაობის განრიგი(საორიენტაციო)

დანართი N3

#	მატ#	ბირითადი დასაუფთავების ადგილი	მოხრუნების ადგილი	სეზონზე						არასეზონზე						მატარებლის სახეობა	მატარებლების რაოდენობა	ვაგონის რაოდენობა	წელიწადში დასასუფთავებელი ვაგონების მინიმალური რაოდენობა	წელიწადში დასასუფთავებელი ვაგონების მაქსიმალური რაოდენობა	მატარებელში სავარძლების რაოდენობა	პერიოდი
				მატარებლების დგომის დრო მოხრუნების პუნქტებში			მატარებლის დგომის დრო ბირითადი დისლოკაციის ადგილას ქ. თბილისის თბილისის სალოკომოტივო დეპო ზესტაფონის ქ#22ა			მატარებლების დგომის დრო მოხრუნების პუნქტებში			მატარებლის დგომის დრო ბირითადი დისლოკაციის ადგილას ქ. თბილისის თბილისის სალოკომოტივო დეპო ზესტაფონის ქ#22ა									
				დან	მდე	სავარაუდო დგომის დრო	გასვლა	ჩამოსვლა	სავარაუდო დგომის დრო	დან	მდე	სავარაუდო დგომის დრო	გასვლა	ჩამოსვლა	სავარაუდო დგომის დრო							
1	802/801	თბილისი	ბათუმი	13:00	17:10	3:40	8:00	23:00	13:10	13:00	18:00	4:30	8:00	23:06	7:04	GRS სერიის ორსართულიანი ელექტრომატარებელი	1	4	2300	2500	400	ყოველდღიური
2	804/803	თბილისი	ბათუმი	22:35	0:45	1:40	17:35	12:50	2:55	22:35	7:55	8:50	17:35	13:00	2:45	GRS სერიის ორსართულიანი ელექტრომატარებელი	1	4	2300	2500	400	ყოველდღიური
2	806/805	თბილისი	ბათუმი	11:45	14:20	2:05	0:35	19:24	3:21	-	-	-	-	-	-	GRS სერიის ორსართულიანი ელექტრომატარებელი	1	4	700	900	400	სეზონური ყოველდღიური
3	808/807	თბილისი	ბათუმი	15:30	18:00	2:00	6:60	22:05	6:35	-	-	-	-	-	-	GRS სერიის ორსართულიანი ელექტრომატარებელი	1	4	700	900	400	სეზონური ყოველდღიური
4	852/851	თბილისი	ბათუმი	14:31	19:05	4:04	8:50	0:40	6:20	-	-	-	-	-	-	GRT სერიის ერთსართულიანი ელექტრომატარებელი	1	4	1050	1250	306	სეზონური ყოველდღიური
5	812/811	თბილისი	ბათუმი	5:50	7:55	1:35	10:30	5:55	2:45							GRS სერიის ორსართულიანი ელექტრომატარებელი	1	4	622	822	400	სეზონზე ყოველდღიური
6	860/859	თბილისი	ბათუმი							6:13	0:45	18:02	0:35	6:30	16:15	GRT სერიის ერთსართულიანი ელექტრომატარებელი	1	4	2200	2400	306	არასეზონზე დღეგამოშვებით
7	870/869	თბილისი	ზუგდიდი	13:43	18:15	4:02	8:10	23:45	6:35	14:00	18:15	3:45	8:10	23:50	6:30	VMK სერიის ერთსართულიანი ელექტრომატარებელი	1	4	1400	1600	310	ყოველდღიური
8	872/871	თბილისი	ფოთი	13:30	18:30	4:30	8:30	23:30	7:10	13:39	18:30	4:21	8:30	23:35	7:05	GRT სერიის ერთსართულიანი ელექტრომატარებელი	1	4	1400	1600	306	ყოველდღიური
9	874/873	თბილისი	ფოთი	22:52	8:30	9:08	17:50	13:27	2:33	23:20	8:30	8:40	17:50	13:50	2:10	VMK სერიის ერთსართულიანი ელექტრომატარებელი	1	4	1400	1600	310	ყოველდღიური
																	10	**40**	**14072**	**16072**		

მსვლელობაში მყოფი დასასუფთავებელი მატარებლების რაოდენობა

შენიშვნა: ფერებით აღნიშნულია, თუ რომელი მატარებელი მიდის და , რომელ მიმართულებაზე მოდის სეზონზე

სულ დასასუფთავებელი ელექტრომატარებლების რაოდენობა

მატარებელი	მატარებლის რაოდენობა	მატარებლის რაოდენობა	ვაგონების რაოდენობა მატარებელში	ვაგონები რაოდენობა 10 მატარებელში	სავარძლების რაოდენობა ერთ მატარებელში	სულ სავარძლების რაოდენობა მატარებლებში
GRS სერიის ორსართულიანი ელექტრომატარებელი	4.0	4.0	4.0	16.0	400.0	1600.0
GRT სერიის ერთსართულიანი ელექტრომატარებელი	4.0	4.0	4.0	16.0	306.0	1224.0
VMK სერიის ერთსართულიანი ელექტრომატარებელი	2.0	2.0	4.0	8.0	310.0	620.0
ჯამი	**10.0**	**10.0**		**40.0**		**3444.0**

დანართი №4

მომსახურებისათვის საჭირო ტექნიკის და დანადგარების ჩამონათვალი

დასახელება	**ქალაქი**	**რაოდენობა/განზომილება (ცალი)**
იატაკის მოსახეხი აპარატი	თბილისი	2
ხალიჩების და რბილი ავეჯის საწმენდი	თბილისი	4
ხალიჩების და რბილი ავეჯის საწმენდი	ბათუმი	1
ხალიჩების საშრობი	თბილისი	2
მტვერსასრუტი	თბილისი	5
მტვერსასრუტი	ბათუმი	5
მტვერსასრუტი	ფოთი	3
მტვერსასრუტი	ზუგდიდი	3
მტვერსასრუტი ჩოთქით	თბილისი	1
მტვერსასრუტი ჩოთქით	ბათუმი	1
ორთქლით მწმენდავი	თბილისი	4
ორთქლით მწმენდავი	ბათუმი	1
ორთქლით მწმენდავი	თბილისი	1
წყლის წნევით მიწოდების აპარატი	თბილისი	1
წყლის შემწოვი აპარატი	თბილისი	2
არანაკლებ 20 ტონიანი წყლის ავზი (მონტაჟი და ექსპლუატაციაში გაშვება)	თბილისი	1

შესრულებული სამუშაოების შეფასების ბლანკი

დანართი N5

თარიღი_____

სამუშაოს ჩატარების ადგილი: _____

სს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენელი:						შემოწმების დაწყების დრო: ___ სთ __ წთ შემოწმების დამთავრების დრო: ___ სთ __ წთ				
#	შემადგენლობის სერია	ვაგონი	მატ №	საპირფარეშო, სანაგვე ურნები, საბარგული	სავარძლები, მაგიდები:	იატაკი: ა)ლინოლეუმის საფარი ბ)ხალიჩის საფარი გ)კიბეები,	კედლები, ჭერი, სანათები, ელ. ღუმელი	ფანჯრები, კარებ(ებ)ი; საინფორმაციო ტაბლო; სასმელი და საკვები აპარატები	ვაგონებს შორის გადასასვლელი ტრაპი, სუფლე;	შენიშვნა
1										
2										
3										
4										

<u>შეფასების ბლანკში მოცემული კონტროლის საგნის, ხარისხის მაჩვენებელი, მაკონტროლირებელი პირის მიერ დადებითი შეფასების შემთხვევაში განისაზღვრება (1) ნიშნით, ხოლო უარყოფითი შეფასების შემთხვევაში (0) ნიშნით და იწერება ხარისხის მაჩვენებლის გრაფაში.</u>

ხელმოწერა

<u>კომპანის წარმომადგენელი</u> _____

<u>სს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენელი:</u> _____

N	მატარებლის ფორმირების პუნქტებში დასუფთავების მომსახურების ჩატარებისთვის საჭირო საშუალებები	მწარმოებელი / ქვეყანა / მოდელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
1	ლაქების ქიმიური წმენდა/დამუშავებისთვის სპეციალური ხსნარი - განკუთვნილი ტექსტილის, ელასტიური და მყარი იატაკის ზედაპირებისთვის	Carpetpro protector RM 762 Germany
2	ლაქების ქიმიური წმენდა/დამუშავებისთვის სპეციალური ხსნარი - განკუთვნილი ელასტიური და მყარი იატაკის ზედაპირისთვის	Kiehl-Rapides Germany
3	სპეციალური ხსნარი - განკუთვნილი ტექსტილის იატაკის ზედაპირების მშრალი და სველი ჭუჭყისგან დაცვისთვის	Universal cleaner surfactant-free rm770 germany
4	ალკოჰოლ-რეზისტენტული სპეციალური სადეზინფექციო საშუალება,	დესნა რუსეთი

შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება

სამგზავრო ვაგონების შიდა ფართების რეცხვა-დასუფთავების, დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციის და ფუმიგაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა

1.2 საქონლის ტექნიკური პარამეტრები/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

1.სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული მატარებლების, მობრუნების პუნქტებში და ძირითადი დისლოკაციის ადგილზე, ვაგონების შიდა ფართების რეცხვადასუფთავების მომსახურება, რომელიც უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, ვაგონების რეისში გამგზავრების წინ, დასუფთავების შიდა სტანდარტი დანართი N2_ის შესაბამისად. (მატარებლების მოძრაობის განრიგი იხ. დანართი N3-ში)_____არაუმეტეს 1339 ვაგონი;
2. სამგზავრო ვაგონის დეზინსექცია _____ არაუმეტეს 122 ვაგონი;
3. სამგზავრო ვაგონის დერატიზაცია _____ არაუმეტეს 122 ვაგონი;
4. სამგზავრო ვაგონის ფუმიგაცია _____ არაუმეტეს 122 ვაგონი;
5. ვაგონების დეზინფექციის მომსახურება _____არაუმეტეს 3688 ვაგონი;

შენიშვნა:
ვაგონების შიდა ფართების რეცხვა-დასუფთავების დროს მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:
1. მომსახურების გაწევისას პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა;
2. მომსახურების გაწევისას გამოყენებული ელექტროენერგიისა და წყლის ხარჯებს დაფარავს შემსყიდველი;
3. დანართი N3-ში მოცემული მატარებლების მოძრაობის გრაფიკი არის საორიენტაციო ხასიათის. გრაფიკის ცვლილება დასაშვებია შემსყიდველის გადაწყვეტილებით და აღნიშნული წერილობით ეცნობება მიმწოდებელს;
4. მიმწოდებელი ვალდებულია მატარებლების დალაგება-დასუფთავება უზრუნველყოს დანართი N3-ში მითითებულ მობრუნების და დისლოკაციის ადგილებში მატარებლების დგომის დროის პერიოდში, ამასთან სეზონის პერიოდში, გამონაკლის შემთხვევაში, მიმწოდებელს უნდა ჰქონდეს იმის რესურსი რომ მაქსიმუმ 1,5 საათის განმავლობაში უზრუნველყოს მატარებლების დალაგება-დასუფთავება;
5. მიმწოდებელი ვალდებულია ვაგონების ყოველთვიური გენერალური დასუფთავება განახორციელოს ქ.თბილისში, ზესტაფონის ქუჩა N 22ა (თბილისის სალოკომოტივო დეპო); ასევე მიმწოდებელი ვალდებულია მატარებლის ფორმირების პუნქტებში ორ თვეში ერთხელ

მოახდინოს დასუფთავების მომსახურების ჩატარება სპეციალური საშუალებებით, რომლებიც დააკმაყოფილებენ შემდეგ ტექნიკურ მახასიათებლებს, კერძოდ:
ა) უზრუნველყოს ლაქების ქიმიური წმენდვა/დამუშავება სპეციალური ხსნარ(ებ)ით, რომელიც განკუთვნილია ყველანაირი ტექსტილის, ელასტიური და მყარი იატაკის ზედაპირებისთვის. ხსნარ(ებ)ს უნდა შეეძლოს ზეთოვანი, ცხიმოვანი, სხვადასხვა მინერალური ლაქების ამოყვანა. ხსნარის pH -ის დონე კონცენტრატში უნდა იყოს არანაკლებ 6.0 და არა უმეტეს 8.8.
ბ) პრეტენდენტი ლაქების ამოყვანის შემდეგ ვალდებულია მოახდინოს ტექსტილის იატაკის ზედაპირების სპეციალური ხსნარით დამუშავება, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიან და ეფექტურ დაცვას მშრალი და სველი ჭუჭყისგან. ხსნარი არ უნდა ახდენდეს ბოჭკოების შეწებებას და უნდა იყოს ფოსფატებისგან თავისუფალი; ხსნარის pH-ის დონე კონცენტრატში უნდა იყოს არანაკლებ 5.0 და არა უმეტეს 7.5.
გ) მომსახურების დასრულებისას მოახდინოს ალკოჰოლ-რეზისტენტული ზედაპირების დეზინფექცირება სპეციალური სადეზინფექციო საშუალებ(ებ)ით, რომელიც ეფექტურია სხვადასხვა სახის ვირუსების წინააღმდეგ, ხსნარ(ებ)ი უნდა იყოს სწრაფ შრობადი, უსუნო და არ უნდა შეიცავდეს ალდეჰიდების და საღებავებს. ხსნარ(ებ)ის pH-ის დონე კონცენტრატში უნდა იყოს არანაკლებ 5.0 და არაუმეტეს 7.5.
6. მიმწოდებელი ვალდებულია დანართი N4-ით განსაზღვრული მისამართების, აპარატურისა და რაოდენობის შესაბამისად განახორციელოს მომსახურება;
7.მიმწოდებლის მიერ შესრულებული მომსახურების შეფასება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ყოველდღიურად დანართი N5-ით მოცემული გაწეული მომსახურების შეფასების ბლანკის მეშვეობით, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ დაეთანხმება შემსყიდველის შეფასებას და არ დაადასტურებს ხელმოწერით გაწეული მომსახურების შეფასების ბლანკს შემსყიდველი აღნიშნულ ბლანკს მიიჩნევს ცალმხრივად გაფორმებულად. აღნიშნულ შეფასებაზე დაყრდნობით შემსყიდველის მიერ ყოველთვიურად მოხდება მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხის კალკულაცია დანართი N6-ში მოცემული მაგალითის შესაბამისად.

სამგზავრო ვაგონების დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციის და ფუმიგაციის მომსახურების გაწევის დროს მიმწოდებელი ვალდებულია:
1. აწარმოოს სამგზავრო ვაგონების სანიტარულ პროფილაქტიკური მომსახურება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 19 მარტის N64/ნ ბრძანებისა და საქართველოში მოქმედი სხვა ნორმატივ(ებ)ის შესაბამისად;
2. სამგზავრო ვაგონებში მუდმივად შეინარჩუნოს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა;
3. სანირატულ-პროფილაქტიკური მომსახურების განხორციელებისას გამოიყენოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 19 მარტის N64/ნ ბრძანებით ნებადართული მაქსიმალურად მცირე ექსპოზიციის დროის მქონე პრეპარატები;

4. სამგზავრო ვაგონების სადეზინფექციო მომსახურების განხორციელება უნდა მოხდეს ყოველდღიურად დასუფთავების შემდეგ დღეში ერთხელ, რეისში გასვლამდე ფორმირების პუნქტებში (ქ.თბილისი, ზესტაფონის ქუჩა N22ა და მახალდიანის ქუჩა N1, ქ.ქუთაისი, ხაბეიშვილის II შესახვევი N4) და მატარებლების მობრუნების პუნქტებში (ქ.ბათუმი, ქ.ფოთი, ქ.ზუგდიდი, ქ.ოზურგეთი). ანტიალერგიული ხსნარებით უნდა დამუშავდეს სავარძლები, იატაკი, კედლები, საპირფარეშოები, კიბის უჯრედები, სახელურები და ვაგონიდან ვაგონში გადასასვლელი ადგილები. მიმწოდებელმა დეზინფექცია უნდა განახორციელოს მექანიკური ან ელექტრო ჰიდროპულტით, სასიამოვნო სურნელის პრეპატარების გამოყენებით;
5. სამგზავრო ვაგონების დეზინსექცია ჩაატაროს არსებული ნორმატივების შესაბამისად (თვეში ერთხელ), უსუნო პრეპარატით, რომელიც არ ტოვებს ლაქებს, უნდა გააჩნდეს ხანგრძლივი ეფექტი და შეესაბამებოდეს უსაფრთხოების მესამე ან მეოთხე კლასს;
6. დერატიზაცია განახორციელოს ქარხნული წესით დამზადებული ბრიკეტების ან გრანულების საშუალებით, თვეში ერთხელ;
7. ფუმიგაცია (ხალიჩების, საწოლების და სავარძლების) ჩაატაროს თვეში ერთხელ ცივი ნისლის აეროზოლური გაფრქვევების მეთოდით;
8. შემსყიდველთან შეათანხმოს გასაწევი მომსახურება გრაფიკი;
9. შემსყიდველი ვალდებულია ფორმირების პუნქტებში (ქ.თბილისი, ზესტაფონის ქუჩა N22ა და მახალდიანის ქუჩა N1, ქ.ქუთაისი, ხაბეიშვილის II შესახვევი N4) და მატარებლების მობრუნების პუნქტებით განსაზღვრულ ადგილებზე (ქ.ბათუმი, ქ.ფოთი, ქ.ზუგდიდი, ქ.ოზურგეთი) მიაწოდოს მიმწოდებელს მომსახურება გასაწევი ვაგონები რეისში გასვლამდე 2.5 საათით ადრე, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მომსახურება უნდა დასრულდეს რეისში გასვლამდე 1 საათით ადრე. რეისში არწამსვლელ ვაგონებზე მომსახურება უნდა განხორციელდეს დღის ნებისმიერ მონაკვეთში;
10. მიმწოდებლის მხრიდან ვადის დარღვევის შემთხვევაში არ აუნაზღაურდება განხორციელებული მომსახურების (ერთეული ვაგონის) ღირებულება და დაერიცხება პირგასამტეხლო.

სს “საქართველოს რკინიგზის” საწარმო შიდა სტანდარტი - დანართი N2.pdf

მატარებლების მოძრაობის განრიგი - დანართი N3.pdf

შესრულებული სამუშაოების შეფასების ბლანკი - დანართი N5.pdf

დასუფთავების შეფასების და ასანაზღაურებელი თანხის გაანგარიშების მაგალითი - დანართი N6.xlsx

დანართი N7.xlsx

1.3 ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

ფასებიც ცხრილი - დანართი N1.xlsx

1.4 საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 კალენდარული თვის განმავლობაში (ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად).

1.5 საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

მატარებლის ფორმირების პუნქტები: ქ.თბილისი, ზესტაფონის ქუჩა N22ა; ქ.თბილისი, მახალდიანის ქუჩა N1, ქ.ქუთაისი, ხაბეიშვილის II შესახვევი N4;
მატარებლების მობრუნების პუნქტები: ქ.ბათუმი, ქ.ფოთი, ქ.ზუგდიდი, ქ.ოზურგეთი.

ანგარიშსწორების პირობები

7.2 ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

ანაზღაურება მოხდება ყოველთვიურად, ფაქტიურად განხორციელებული მომსახურებების შესაბამისად.

7.3 ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები

მიმწოდებლისთვის ყოველთვიურად ასანაზღაურებელი თანხის გაანგარიშება მოხდება წინამდებარე ტექნიკური დავალების დანართი N2-ში მითითებული მე-2 მუხლის შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლის შეფასების სისტემის შესაბამისად, ხოლო ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში.

1	ხელშეკრულება №		3	ხელშეკრულების საგანი სს „საქართველოს რკინიგზის“ სახსრებით, სამგზავრო ვაგონების შიდა ფართების რეცხვა-დასუფთავების, დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციის და ფუმიგაციის მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
2	კონტრაგენტი	შპს ,,Cleaning Service Group"	4	მიმღები დეპ/სამ. ფმგ--მიმდინარე ხარისხის მომსახურების დარგი

ხელშეკრულების რანგი	კურატორი დირექტორის მიერ განსაზღვრული			გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული		
	რანგი			რანგი		
	I ☐	II ☐	III ☑	I ☐	II ☐	III ☐

5	ხელშეკრულების ადმინისტრატორი	თბილისის სალოკომოტივო დეპოს წმენდა-დასუფთავების ბრიგადის ბრიგადირი		
		თანამდებობა		
		მირიან გველესიანი		17.03.2022
		გვარი, სახელი	ხელმოწერა	თარიღი
6	დირექტორი	დაჩი ცაგურია		
		გვარი, სახელი	ხელმოწერა	თარიღი

თარიღი:02-03-2022

შპს ,,Cleaning Service Group”

სამგზავრო ვაგონების შიდა ფართების რეცხვა-დასუფთავების, დეზინფექციის,

დერატიზაციის და ფუმიგაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა

დანართი N1

გასაწევი მომსახურების დასახელება	რაოდენობა/გა ნზომილება არაუმეტეს (ცალი)	ერთეულის ღირებულება დღგ-ს გარეშე	საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე
1	**2**	**3**	**4**
სამგზავრო ვაგონების შიდა ფართების რეცხვადასუფთავება	1339	28,50	38161,50
სამგზავრო ვაგონის დეზინსექცია	122	1	122
სამგზავრო ვაგონის დერატიზაცია	122	1	122
სამგზავრო ვაგონის ფუმიგაცია	122	3	366
ვაგონების დეზინფექცია	3688	0,25	922
			39693,5

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი *17.03.2022 წელი*

სს „საქართველოს რკინიგზის“ (ს/კ 202886010) მიერ სამგზავრო ვაგონების შიდა ფართების რეცხვა-დასუფთავების, დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციის და ფუმიგაციის მომსახურების გამარტივებული შესყიდვის გზით შერჩეულ პრეტენდენტთან შპს **Cleaning Service Group** *(ს/კ* 401964718*), გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრულ ვალდებულებათა შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირები ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.*

Giorgi Gvelesiani *სახელი/გვარი* *ხელმოწერა*